61. მაზრის მმართველობის მიმღინარე მუშაობის ხელმძღვანელობისათვის და ცენტრალური ხელისუფლების დეკრეტებისა და დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად, მაზრის აღმასრულებელი კომიტეტები ირჩევენ პრეზიდიუმებს, რომელიც აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს შეა სარგებლობენ აღმასრულებელი კომიტეტის უფლებით და პასუხს აგებენ მის წინაშე თავისი მოქმედებისათვის.

62. მაზრის ტერიტორიაზე მმართველობის იმ დარგების უმეშვეო გამგებლობისათვის, რაც სამაზრო ხელისუფლების კომპეტენციას შეადგენს, მაზრის აღმასრულებელი კომიტეტები აარსებენ განყოფილებებს, რომელთა ორგანიზაციას, სტრუქტურას და კომპეტენციას საზღრავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

63. მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი უმეშვეოდ ემორჩილებიან სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს და მათ პრეზიდიუმებს და ვალდებული არიან შეასრულონ როგორც შესაფერი მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის და მისი პრეზიდიუმის, აგრეთვე საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატების ყველა ბრძანება და განკარგულება.



64. დეპუტატთა საბჭოები მოწყვეტილის შესახებ  
თეულ თემში—იმ ანგარიშით, რომ თემის ყველა დასახ-  
ლებულ პუქტში ყველა 100 მცხოვრებზე მოდიოდეს ერთი  
დეპუტატი და ბ) ქალაქებში—იმავე ანგარიშით, ტფი-  
ლისისა, ქუთაისისა და კიათორის გარდა, სადაც ერთი  
დეპუტატი უნდა მოდიოდეს: ტფილისში—200 ამომრჩე-  
ველზე, ქუთაისში—150 ამომრჩეველზე, ხოლო კიათორი-  
ში—50 ამომრჩეველზე.

**შენიშვნა 1.** სრულიად საქართველოს საბ-  
ჭოთა ცენტრალური ომასრულებელი კომიტეტის  
ან მისი პრეზიდიუმის დადგენილებით ერთი თემის  
რაიონში შეიძლება მოწყოს რამდენიმე სასოფლო  
საბჭო. სასოფლო საბჭოს დეპუტატები აირჩევიან  
იმავე ანგარიშით, რაც დაწესებულია სათემო საბ-  
ჭოებისათვის. ამ შემთხვევაში მოწვეულ უნდა იქ-  
ნენ საბჭოთა სათემო ყრილობანი იმავე ანგარიშით  
—ერთი დეპუტატი ყოველ 100 მცხოვრებზედ.

**შენიშვნა 2.** მუშაობა და გლეხთა წითელი არ-  
მისია და ფლოტის ჯარის ნაწილები იმ ადგილებში,  
სადაც დანარჩენი მოსახლეობა დეპუტატებს ირჩევს  
მცხოვრებთა საერთო რიცხვის მიხედვით, ირჩევენ  
თავის დეპუტატებს საბჭოებში იმ ანგარიშით, რომ  
ერთი დეპუტატი მოდიოდეს 50 ამომრჩეველზე.  
ხოლო იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობა ირჩევს  
დეპუტატებს ამომრჩეველთა რიცხვის მიხედვით—  
ირჩევენ დეპუტატებს იმავე ანგარიშით, როგორც  
დანარჩენი მოსახლეობა.

65. დეპუტატთა საბჭოების ხელ-ახალი არჩევნები  
ხდება წელიწადში ერთხელ.



## ეროვნული

66. მიმღინარე მუშაობისათვის სათემო ეჭყაფურტყეცა  
ირჩევენ თემის აღმასრულებელ კომიტეტებს, რომელიც  
პასუხს ავებენ სათანადო საბჭოს წინაშე და ემორჩილე-  
ბიან აგრეთვე სათანადო მაზრის აღმასრულებელ კომი-  
ტეტებს. თემის აღმასრულებელ კომიტეტების გამგებლო-  
ბასა და ორგანიზაციის საზღვრავს სრულიად საქართვე-  
ლოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

**შენიშვნა.** იმ ადგიუნდში, სადაც სასოფლო  
საბჭოებია მოწყობილი და სათემო საბჭოთა ყრი-  
ლობანი იკრიბებიან, თემის აღმასრულებელ კომი-  
ტეტებს ირჩევენ სათემო ყრილობანი.

67. ქალაქის და სოფლის საბჭოთა აღმასრულებელ  
ორგანოებს, მათ ორგანიზაციის და გამგებლობის ფარ-  
გალს აწესებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენ-  
ტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

68. დეპუტატთა საბჭოებს იწვევენ მათი აღმასრუ-  
ლებელი ორგანოები საკუთარი თაოსნობით ან საბჭოს  
წევრთა რიცხვის არა ნაკლები ერთი მესამედის მოთხოვ-  
ნით.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების: საბ-  
ჭოთა სამაზრო ყრილობების, დეპუტატთა საბჭოების და  
მათი აღმასრულებელი ორგანოების გამგებლობის საგანს  
შეადგენს:

ა) ლონისძიებანი შესაფერი კუთხის კულტურულ და  
სამეურნეო განვითარებისათვის;

ბ) ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა და დამტკი-  
ცება;

გ) ხელისუფლების სათანადო უმაღლესი ორგანოე-  
ბის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება;



დ) გადაწყვეტა საკითხებისა, რომელთაც უწყებული ტერიტორიისათვის აღგილობრივი მნიშვნელობა აქვთ;  
ე) შესაფერი ტერიტორიის ფარგლებში საბჭოთა მოღვაწეობის გაერთიანება;

ვ) შესაფერი ტერიტორიის ფარგლებში რევოლიუციონური კანონიერების უზრუნველყოფა;

ზ) შესაფერ ტერიტორიიაზე სახელმწიფო უშიშროების დაცვა;

თ) საერთო-სახელმწიფო უშიშროების მნიშვნელობის საკითხების განხილვა როგორც საკუთარი თაოსნობით, ისე ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების წინადადებით.

70. საბჭოთა სამაზრო ყრილობანი და მაზრის აღმასრულებელი კომიტეტები კონტროლს უწევენ აღგილობრივ საბჭოთა და მათ აღმასრულებელ ორგანოთა მოქმედებას.

71. მაზრის აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ თავის პასუხისმგებლობით შეაჩერონ საქართველოს სოკიალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების განკარგულებათა ცხოვრებაში გატარება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ განსაზღვრული წესით.

ვ) ხახამართლო და ხაპროკურორო ზედამხედველობა.

72. მუშაოთა და გლეხთა სახელმწიფოსი და მშრომელთა სამართლებრივი დაცვისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და რეეროლიუციონური კანონიერების განმტკიცებისათვის და აგრეთვე იმისათვის, რომ ნამდვილად უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფოსი და მშრო-



მელთა სამეურნეო ინტერესები, საქართველოში ცოცხ. მაზრე.  
რესპუბლიკაში მოქმედებს ერთიანი სახალხო სასამართლო  
და მასთან არსებული საპროფერო ზედამხედველობა.  
სახალხო სასამართლო მოწყობილია საბჭოთა სოციალის-  
ტური რესპუბლიკების კავშირის მიერ დადგენილ საფუძ-  
ველზედ და მოქმედობს იმ საპროცესო წესით, რომლის  
ძირითად საფუძველს საზღვრავს საბჭოთა სოციალის-  
ტური რესპუბლიკების კავშირი.

73. სამოსამართლო ორგანოები და საპროფერო ზედამხედველობა ხელმძღვანელობენ საქართველოს სო-  
ციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სამოქალაქო და  
სისხლის სამართლის კანონმდებლობით, რომლის საფუძ-  
ველები დადგენილია საბჭოთა სოციალისტური რესპუბ-  
ლიკების კავშირის მიერ, და საქართველოს სოციალის-  
ტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი  
კანონებით, ხოლო იმ შემთხვევაში, რეელუ კანონი არ  
არსებობს ან სოული არ არის, სასამართლო და საპრო-  
ფერო ზედამხედველობა ხელმძღვანელობენ საბჭოთა  
კანონმდებლობის საერთო აზრით და მუშათა და გლეხთა  
სახელმწიფოს ინტერესებით.

## თ ა ვ ი IV.

ავტონომიური სოციალისტური ს.ბჭოთა რესპუბლი-  
კები და ოლქები.

74. ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რეს-  
პუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური და აღვითობ-  
რივი ხელისუფლების ორგანოები მოწყობილია ამ კონს-  
ტიტულის საფუძვლების მიხედვით.



75. ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რეს-  
პუბლიკების კონსტიტუციებს და ავტონომიური ოლქების  
დეპულებებს მიიღებენ მათი საბჭოთა ყრილობანი, და-  
სამრეკიცებლად წარუდგენენ სრულიად საქართველოს საბ-  
ჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ხოლო  
საბოლოოდ დასამტკიცებლად—სრულიად საქართველოს  
საბჭოთა ყრილობას.

76. ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკების  
და ოლქების ტერიტორიის ფარგლებში ხელისუფლების  
უმაღლესი ორგანოები არიან მათი საბჭოების ყრილო-  
ბები, ხოლო ყრილობებს შეა პერიოდში—მათ მიერ არ-  
ჩეული ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები.

77. ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რეს-  
პუბლიკების და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტები თავის წრიდან ირჩევენ პრეზიდიუმებს, რო-  
მელნიც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების  
სესიებს შეა არიან ავტონომიური რესპუბლიკების და ოლ-  
ქის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები.

78. ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რეს-  
პუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები  
აარსებენ თავის აღმასრულებელ და განმკარგულებელ  
ორგანოებს —სახალხო კომისართა საბჭოებს. რომელნიც  
შესდგებიან თავმჯდომარისაგან, სახალხო მეურნეობის  
საბჭოს თავმჯდომარისაგან და სახალხო კომისართატების  
სათავეში მდგომ შემთხვევ კომისართაგან: შინაგან საქმეთა,  
იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მი-  
წადმოქმედების და სოციალური უშრუნველყოფისა. სა-  
ხალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობაში შედიან აგ-  
რეთვე საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბ-



ლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის, შრომის სახალხო კომისარიატის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი.

ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოები ემორჩილებიან სათანადო ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სახალხო კომისართა საბჭოებს და ასრულებენ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დირექტორებს, ფინანსთა, შრომის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი, როგორც საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატების ორგანოები ავტონომიურ რესპუბლიკებში უმეშეოდ ემორჩილებიან მათ და თავის მუშაობის ანგარიშს უდგენენ ავტონომიურ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სახალხო კომისართა საბჭოებს.

79. ავტონომიური ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები სახალხო კომისართა საბჭოებს არ შეადგენენ და ოლქის მმართველობას ხელმძღვანელობენ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი და შემდეგი სახალხო კომისარების მეშვეობით, რომელიც სათავეში უდგანან სახალხო კომისარიატებს: შინაგან საქმეთა, იუსტიციისა, განათლებისა, ჯანმრთელობის და კულტურისა, მიწადმოქმედების და სოციალური უზრუნველყოფისა. ფინანსთა, შრომისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების ორგანოები ავტონომიურ ოლქებში არიან საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ხსენებული სახალხო კომისარია-



ტების რწმუნებულნი. ავტონომიური ოლქების სახალხო მეურნეობის საბჭოები უმეშვეოდ ემორჩილებიან საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უძალლეს საბჭოს და უკანასკნელის ღონისძიებას და განკარგულებას ანხორციელებენ თავისი ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით; ფინანსთა, შრომის და მეშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი უმეშვეოდ ემორჩილებიან საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სათანადო ცენტრალურ ორგანოებს და თავისი მუშაობის ანგარიშს უდგენენ ავტონომიური ოლქების ცენტრალურ ოლმასრულებელ კომიტეტებს.

80. ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების და ოლქების ცენტრალურ ოლმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, შეამცირონ ამ კონსტიტუციის 77 და 78 მუხლით გათვალისწინებული სახალხო კომისარიატთა რაოდენობა.

81. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაეს ორგანოთა მიერ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე გასავრცელებლად გამოცემულ კოდექსებს, დეკრეტებს და დადგენილებებს სავალდებულო ძალა აქვთ ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების ტერიტორიაზე.

82. ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრალურ ოლმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ სახელმწიფო ორგენი მმართველობის იმდარგში, რასაც ავტონომიურად განაგებენ, და საქართ-



ველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის იმ კანონმდებლობის განსავითარებლად, რაც საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, გამოსცენ საკანონმდებლო იქტები, რომელთაც სავალდებულო ძალა აქვთ იმ რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

**შენიშვნა.** ივტონომიური ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ გამოსცენ დადგენილებანი ამ მუხლით აღნიშნულ ფარგლებში, რომელთაც ავტონომიური ოლქების ტერიტორიაზე სავალდებულო ძალა აქვთ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმის მიერ დამტკიცების შემდეგ.

## თ ა ვ ი ვ.

მოქავშირე აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა.

83. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში, ხოლო მისი მეშვეობით — ამიერ-კავკასიის სახლმაჭიდვებულებერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში.

84. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობის წარმომადგენერონი მოწარილეობას იღებენ სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობაში. ყრილობაზე გასაგზავნი დეპუტატების რიცხვი განისაზღვრება ამა კონსტიტუციის 23 მუხლით:



85. სრულიად საქართველოს საბჭოთა კრილობა  
აუხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის წარ-  
მომადგენლებს ირჩევს, თვით კრილობის მიერ განსაზღვ-  
რული რიცხვით, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენ-  
ტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებად.

86. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობა, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი, აგრეთვე აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლების აღვილობრივი ორგანოები მოეწყობიან აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველთა მიხედვით.

87. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დაარსებული სახალხო კომისართა საბჭო შესდგება თავ-მჯდომარისაგან, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისაგან და სახალხო კომისართაგან, რომელ-ნიც სათავეში უდგანან სახალხო კომისარიატებს: შინი-გან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მიწადმოქმედების და სოციალური უზრუნველ-ყოფის. სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობაში შეღიან ავრეოთვე საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ფინანსთა, შრომის და მუშათა-გლეხთა ინს-პექციის სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი, რო-მელთაც აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლი-კის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენი-ლებით მიენიჭებათ გადამწყვეტი ან სათათბირო ხმის უფლება.

შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანმ-



როგორმას დაცის, მაწადმოქმედების და ნერკოსტატის მეტე  
უზრუნველყოდის სახალხო კომისარიატები მოქმედობენ  
საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის  
სათანადო სახალხო კომისარიატებისაგან დამოუკიდებ-  
ლად, ხოლო აწვევიან ერთმანეთს ცნობებს თავ-თავისი  
მეშვიობის შესახებ.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო თავის მოქ-  
მეფებაში ემორჩილება აფხაზეთის სოციალისტური საბ-  
ჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კონი-  
ტეტს და სახალხო კომისართა საბჭოს და ანხორციელებს  
საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლი-  
კის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დირექ-  
ტივებს.

ფინანსთა, შრომის და მუშათა და გლეხთა ინსპექ-  
ციის სახალხო კომისარიატების ჩრდილი ბულნი არიან სა-  
ქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სა-  
თანადო სახალხო კომისარიატების ორგანოები, უშუა-  
ლოდ ემორჩილებიან მათ, ხოლო თავის მეშვიობის ანგა-  
რიშს უდგენენ აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რეს-  
პუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კონიტეტს და  
სახალხო კომისართა საბჭოს.

88. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბ-  
ლიკის ხელისუფლების უზენაეს ორგანოთ უფლება აქვთ  
სახელმწიფოებრივი მმაოთველობის იმ დარგში, რაც არ  
არის გაერთიანებული (შინაგან საქმეთა, იუსტიციის, გა-  
ნათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მიწათმოქმედების და  
სოციალური უზრუნველყოფის) დამოუკიდებლად გამოსკუნ  
საქანონშიდებლო აქტები, რომელთაც სავალდებულო ძა-



ლა აქვთ აფხაზეთის სოციალისტური საჭიროება მექანიკურ  
ლიკის ტერიტორიაზე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საქართველოს სოც.  
საბჭოთა რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე გასავრცე-  
ლებლად გამოცემულ კოდექსებს, დეკრეტებს და დადგე-  
ნილებებს სავალდებულო ძალა აქვთ აფხაზეთის სოცია-  
ლისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ამას-  
თან აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის  
ხელისუფლების უზენაეს ორგანოთ უფლება აქვთ აღნიშ-  
ნული აქტების ვანსავითარებლად და შესავსებად გამოს-  
ცენ საკანონმდებლო აქტები, რომელთაც სავალდებულო  
ძალა აქვთ აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბ-  
ლიკის ტერიტორიაზე.

84. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის, მისი პრეზიდიუმის და სა-  
ხალხო კომისართა საბჭოს ყელა დადგენილებას და ვან-  
კარგულებას, რაც კი საერთო (მუშათა და გლეხთა ინს-  
პექციის, შრომის და ფინანსების) და გაერთიანებული  
(სახალხო მეურნეობის) სახელმწიფო ბრივი მმართველო-  
ბის საკითხებს ეხება, აფხაზეთის სოციალისტური საბჭ.  
რესპუბლიკის ტერიტორიაზე სავალდებულო ძალა აქვთ;  
ამასთან აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლი-  
კის ხელისუფლების უზენაეს ორგანოთ უფლება აქვთ  
გაერთიანებული სახელმწიფო ბრივი მმართველობის დარ-  
გში, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კანონმდებ-  
ლობის განსავითარებლად, გამოსცენ საკანონმდებლო აქ-  
ტები, რომელთაც სავალდებულო ძალა აქვთ აფხაზეთის  
სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.



90. სრულიად საქართველოს საბჭოთა კუნძულების და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმა-  
სრულებელ კომიტეტს უფლება აქვთ გააუქმონ აფხაზეთის  
სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოთა ყრი-  
ლობის, ცენტრალური აღმასრულებული კომიტეტის და  
სახალხო კომისართა საბჭოს ყველა ის დადგენილება,  
რაც კი ეწინააღმდევება ამ კონსტიტუციის.

91. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბ-  
ლიკის ბიუჯეტი შის შემდეგ, როდესაც მას დაამტკიცებს  
ამ რესპუბლიკას ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-  
ტი, შემადგენელ ნაწილად შედის საქართველოს სოცია-  
ლისტური საბჭოთა რესპუბლიკის საერთო-სახელმწიფო  
ბიუჯეტში, რომელიც მტკიცდება ამა კონსტიტუციის 94  
მუხლის წესისამებრ.

აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის  
ტერიტორიაზე ყველა ადგილობრივი შემოსავალ-გასავალი  
ერთიანდება ადგილობრივ ბიუჯეტიად საერთო-საკავშირო  
და ამიერკავკასიის საფედარაციო ძირითადი კანონმდებ-  
ლობის წესით.

## თ ა მ ი VI.

### დეპუტატთა საბჭოების არჩევნები.

ა) აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება.

92. უფლება აირჩიოს და არჩეულ იქნეს საბჭოში  
ეკუთვნის, ეროვნებისა, რასისა, ბინადრობისა და სხვ.  
განურჩევლად, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა  
რესპუბლიკის ორივე სქესის შემდეგ მოქალაქეთ, რომელ-  
თაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შესრულებიათ:



ა) ვინც ცხოვრების სახსარს სარგობლები შემჭიდებული სარგებლო შრომით პოულობს და აგრეთვე ვინც შინაურ მეურნეობას ეწევა და ამით შესაძლებლობას აძლევს პირველთ გასწიონ სარგო შრომა;

ბ) მეშათა და გლეხთა წითელ არმიისა და წითელი ფლოტის წითელი არმიაულთა და წითელ ფლოტელთ;

გ) ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში ჩამოთვლილ პირთ, რომელთაც მეტად თუ ნაკლებად დაუკარგავთ შრომის უწარი.

**შენიშვნა.** აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებით საქართველოს სოკიალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებთან თანასწორად სარგებლობენ ის პინრიც, ვინც ამ კონსტიტუციის მე-8 მუხლშია აღნიშნული, თუ ისინი შეეფერებიან ამ მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

93. ვერ აირჩიუნ და ვერ იქნებან არჩეულნი, თუნდაც ეყუთვნოდენ მოქალაქეთა ერთ-ერთს 82 მუხლში ჩამოთვლილ კატეგორიას:

ა) ვინც მოგების მიზნით სარგებლობს დაქირავებული შრომათ;

ბ) ვინც უშრომოთ მიღებული შემოსავალით ცხოვრობს, როგორიცაა: კაპიტალის სარგებელი, საწარმოს შემოსავალი, ქონების შემოსავალი და სხვ.;

გ) ვინც კერძო ვაჭრობას და აგრეთვე სავაჭრო და საკომერციო შუამავლობას ეწევა;

დ) ბერები და ყველა სარწმუნოებისა და რჯულის რელიგიური კულტების სასულიერო მსახურნი, რომელთათვის კულტის მსახურება პროფესიის წარმოადგენს;

ე) ვინც მსახურობდა მეფის მთავრობასთან პოლი-



ციასა და უანდარმთა ცალკე კორპუსში და განკუთხილებაში და საქართველოს მენშევიკურტი მთავრობის  
ბასთან შინაგან საქეთა სამინისტროს საგანგებო რაზმში,  
რუსეთში ყოფილ მეფის საგვარეულოს წევრი, აგრეთვე  
ის პირნიც, ვინც ხელმძღვანელობას უწევდნენ პოლიციას,  
უანდარმერიას და დამსჯელ ორგანოებს;

ვ) ვისაც სისხლის სასამართლოს კანონიერ ძალაში  
შესული განაჩენით გადაწყვეტილი აქვს სასჯელი, რო-  
მელსაც თან სდევს უფლებათა შეზღუდვა, სასამართლოს  
განაჩენით დადგენილ ვადამდე;

ზ) ვინც დადგენილი წესისამებრ ცნობილია სულით-  
ავადმყოფად ან შემლილად.

### ბ) არჩევნების წარმოება.

94. არჩევნები სწარმოებს ადგილობრივ საბჭოთა ან  
მათ აღმასრულებელ ორგანოთა მიერ დანიშნულ დღეს.

95. არჩევნების წარმოების წესს და აგრეთვე არ-  
ჩევნებში პროცესიონალურ და მუშათა სხვა ორგანიზა-  
ციების მონაწილეობას საზღვრავს სრულიად საქართველოს  
საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ან  
მისი პრეზიდიუმი.

გ) არჩევნების შემოწმება და გაუქმება და დეპუტატე-  
ბის უკან გაწვევა.

96. საბჭოებში არჩევნების სისწორეს ამოწმებენ საარ-  
ჩევნო კომისიები, ხოლო საბჭოთა ყრილობისათვის არ-  
ჩეულ დელეგატების უფლებამოსილობის სისწორეს—ყრი-  
ლობათა სამანდატო კომისიები.

97. უკეთე ესა თუ ის დეპუტატი არ იქნა დამტკი-  
ცებული, საბჭო ნიშნავს ათალ არჩევნებს.



98. უკეთო არჩევნები საერთოდ სწორტური არ განაა  
წარმოებული, მათი გაუქმების საკითხს სწულერთური და  
ბელისუფლების რიგით უმაღლესი ორგანო. საბჭოთა არ-  
ჩევნების კასაციისათვის უმაღლესი ორგანო არის სრუ-  
ლიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულე-  
ბელი კომიტეტი ან მისი პრეზიდიუმი.

99. ამომრჩევლებს, რომელთაც გაუგზავნიათ დეპუ-  
ტატი საბჭოში, ყოველ დროს აქვთ უფლება უკან გაი-  
წეონ იგი და მოახდინონ ახალი არჩევნები.

### თ ა ვ ი VII.

საქართველოს ხოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის  
საბიუჯეტო უფლება.

100. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რეს-  
პუბლიკის ყველა სახელმწიფო შემოსავალი და გასავალი,  
ამ რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკე-  
ბისა და ოლქების შემოსავალ-გასავლითურთ, გაერთიანე-  
ბულია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბ-  
ლიკის საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტად.

101. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რეს-  
პუბლიკის საერთო სახელმწიფო ბიუჯეტი შედის რო-  
გორც შემადგენილი ნაწილი ამიერკავკასიის სოციალი-  
სტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ერთიან  
სახელმწიფო ბიუჯეტში და უკანასკნელთან ერთად საბ-  
ჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის ერთიან  
სახელმწიფო ბიუჯეტში.

102. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რეს-  
პუბლიკის საერთო სახელმწიფო ბიუჯეტს, საქართველოს



სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კულტურული და სართა საბჭოში განხილვის შემდეგ, ამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მეშვეობით ეს ბიუჯეტი წარედგინება ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—მის მიერ და-სამტკიცებელ ამიერკავკასის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტი ში შესატანად.

103. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში შემავალ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სახელმწიფო შემოსავალსა და გასავალს განიხილავენ და მიიღებენ ამ რესპუბლიკების და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, რის შემდეგაც მას განიხილავს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკას სახალხო კომისართა საბჭო და დაამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, როგორც შემადგენელ ნაწილს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტისას.

104. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცების და შესრულების წესს საზღვრავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საერთო საკავშირო და ამიერკავკასიის საფედერაციო საბიუჯეტო კანონმდებლობის ფარგლებში.

105. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის



卷之三

წყაროები და აგრძოვე გასაკალიც, რომელიც შექმნილ იქნა  
ბულია ამ ბიუჯეტზე, განისაზღვრებიან ავერტუასიის  
კანონმდებლობით საერთო-საკავშირო საბიუატო კანო-  
ნით დადგენილ ფარგლებში.

106. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოველგვარი გადასახადი და გამოსალები წესვება საერთო-საკავშირო კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

107. სახელმწიფო ხაზინიდან არც ერთი ხარჯის გა-  
წევა არ შეიძლება, თუ ამისთვის კრეზიტი არ იქნება  
დაწესებული შემოსავალ-გასავლის სახელმწიფო განრიგე-  
ბაში, ან თუ ამას საგანგებოდ არ დაადგენენ საქართვე-  
ლოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საკანონ-  
მდებლო ორგანოები.

108. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შემო-  
სავალ-გასაცელის განრიგებაში შეტანილი ხარჯი გაწეულ-  
უნდა იქნეს ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში და ხმარდებო-  
დეს მარტოოდენ თავის პირდაპირ დანაშაულებას.

109. ყველა ადგილობრივი შემოსავალ-გასავალი ერთიანდება ადგილობრივ ბიუჯეტებად საერთო-საკავშირო და ამიერკავკასიის საფედერაციო ძირითადი კანონ-მდებლობის წესით და ავტოთვე უკანასკნელის განსავითარებლად საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში გამოცემული კანონების მიხედვით. ამრიგადვე განისაზღვრება ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცების და შესრულების წესიც.

110. იმ ხარჯების დასაფარავად, რაც გაწეულ უნდა იქნეს აღვილობრივ სახსრიდან, აღვილობრივ საშემთხველო წყაროები—საგადასახადო და ორა-საგადასახადო—



მიეცემათ საერთო-საკავშირო და ამიერკავშირის მასტერის დერაციო ძირითადი კანონის დებლობით განსაზღვრული წესით და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში მის განსაეითარებლად გამოცემულ საკანონმდებლო აქტების მიხედვით.

111. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

### თ ა ვ ი VIII.

საქართველოს ხუციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის  
ლერძი, დროშა და დედაქალაქი.

112. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ლერძი წარმოადგენს რვეალ წითელ არეს; ზემო ნაწილში გამოსახულია ბრწყინვალე ხუთწევთიანი ვარსკვლავი, რომლის სხივებიც მიმოფენილია მთელს არეზე; ქვემო ნაწილში თოვლიანი მთავრებილი ტრედის ფერისა; მარჯვნით ოქროს თავთავი, მარცხნით—ოქროს ვაზები ყურძნის მტევნებით. ვაზებისა და თავთავების ბოლოები ერთმანეთშია გადახლართული მთავრებილის ძირში, არეს ქვემო ნაწილში. შუაგულის უდიდესი ნაწილი უჭირავს ოქროს ნამგლის და უროს გამოხატულებას, რომლებიც ებჯინებიან ზემოთ მოელვარე ვარსკვლავს, ქვემოდ—მთავრებილის მწევრებას, ხოლო გვერდებზე—თავთავებსა და ვაზებს. არეს გარშემო მოთავსებულია ქართული, რუსული და ფრანგული წარწერა: „პროლეტარე-



ბო ყველა ქვეყნისა, „შეერთდით“. ლერძი გურუმია მას და კა ლია ქართული სტილის ორნამენტების არშიით.

113. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რეს-  
პუბლიკის დროშა შესდგება წითელი ფერის ქსოვილისა-  
გან. მის მარცხენა კუთხეში ზემო ოთხკუთხედში, რომ-  
ლის შხარეებიც უდრიან ქსოვილის მთელი სივრძის ერთს  
მეოთხედს, მოთავსებულია ოქროს ასოებით წირწერა  
ქართულად „ს. ს. ს. რ.“.

114. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკური მალაქი არის ქალაქი ტფილისი.





ეროვნული

ბიბლიოთეკი

ფას 15 პ.

